# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— სამშაბათი, 8 აგვისტო 1900 წ. № 1204

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

## რედაქციისაგან

გავახსენებთ ჟურნალ „მოამბის“ და გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ხელის მომწერთ, რომ დარჩენილი ხვედრი გადასახადისა **უეჭველად პირველ სექტემბრამდე უნდა წარმოადგინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში სექტემბრიდან ჟურნალის და გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.**

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**6 აგვისტო**

**პეტერბურგი.** ადმირალის ალექსეევის დეპეშა ტიანცზინიდან: პირველ აგვისტოს მთელის დღის სროლის შემდეგ, ჩვენმა და მოკავშირეთა ჯარებმა ქალაქის კარები ააფეთქეს და შევიდნენ პეკინში.

**ვაშინგტონი.** რემეი დეპეშით იუწყება, რომ პეკინი აღებულია ორ აგვისტოს. საელჩოების წევრნი უვნებლად არიან. იაპონიის ადმირალი იუწყება, რომ შეერთებულ ჯარებს პეკინთან გაუწიეს სასტიკი წინააღმდეგობა. საღამოზედ იაპონელები სხვა ჯარებთან ერთად შეცვივდნენ ქალაქში და მაშინვე გარს შემოერტყნენ საელჩოებს, სადაც ყველანი უვნებელნი დახვდნენ. ჩინელებმა დაჰკარგეს 300 კაცი.

**კაპშტადტი.** კიტჩენერმა გაანთავისუფლა გური ლანდერიეერიდან.

**ლონდონი.** ამბობენ, რომ სეიმურს გადაწყვეტით ნაბძანები აქვს გადმოსვას ინგლისის ჯარები შანხაიში. ამაზე სხვებზე მეტი პროტესტი გამოაცხადეს საფრანგეთისა და ამერიკის კონსულებმა.

**როსტოვი-დონზე.** იწვის ნავთის საწყობი დონის ნაპირზედ; ორი საწყობის გარდა, დაიწვა ორი ქარხანა. ცეცხლი უკიდია ბარჟებს, ვაგონებს და ტელეგრაფის ბოძებს.

**კიევი.** კიევის გუბერნიის ზოგიერთა მაზრაში შაქრის ჭარხლის პლანტაციებში გაჩნდა ჰია. ზოგიერთა პლანტაციები სრულიად გაანადგურა რამდენიმე საათის განმავლობაში.

ჰია მოძრაობს გუნდ-გუნდათ. თხრილები არ შველის, ორმოები მეტად ჩქარა ივსება ჰიებით.

**პრეტორია.** სამხედრო სამართალში მიცემულია კორდუა, ბურების არტილერიის პორუჩიკი; ბრალი ედება, რომ დაარღვია პატიოსანი სიტყვა და მონაწილეობა მიიღო რობერტსის წინააღმდეგ შეთქმულობაში. ბრალდებულმა თავის თავი დამნაშავედ აღიარა, მაგრამ გამოაცხადა, რომ ინგლისელ აგენტების შეკონებით მოქმედებდა.

**პეტერბურგი.** იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული დიდის მთავრინით ოლღა ალექსანდრეს ასულით დანიაში გაემგზავრა.

**ლონდონი.** სიმლადან მოვიდა ამბავი ავღანისტანის მხედრობის საომრად გამზადების შესახებ, რომ კაბულში არავითარი ნიშნები არა ჩანს მზადებისათ.

**შანჰაი.** ჩინელების ცნობებით, მოკავშირეთა ჯარებს პეკინში შესვლის დროს წინააღმდეგობას არავინ უწევდა; უცხოელთ პრინციპი მეგობრულად მიეგება. უკმაყოფილო ჩინელები ადრევე წავიდნენ ქალაქიდან. 29 ივლისს სასახლე წარჩინებულ მანჟურელებით წავიდა შანტიში; კონსუს ჯარები გამოვიდნენ დასავლეთით, რათა ხელი შეეშალათ მოკავშირეთა ჯარებისათვის, რომ ეს უკანასკნელნი მიმავალ წარჩინებულთ არ გამოჰკიდებოდნენ უკან.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით შეჩერებულ იქმნა გაზეთი „ურალი“ სამი თვით.

**პარიზი.** უმაღლესი ჯილდო მიესაჯა: მე-87 კლ.: ძმათა ნობელებს, ლიუბიმოვს, სოლვეს, უზლაკოვს, კონკლერუს, ტენტელევის ქიმიურ ქარხანას, ძმათა კრესტოვნიკოვებს; მე 88 კლ.: ნებეს, გოვარდს; მე-89 კლ.: ალფუზოვს; მე-90 კლ.—ბროკარს, რალლეს; მე-91 კლ.—სემიონოვს, მე-27 კლ. სახელოსნოებს, რომელთ გააკეთეს საზამთრო სასახლის მოაჯირი; მე-99 კლ.: რუსეთ-ამერიკელ რეზინის ნაწარმოებს; მე-101 კლ.: საიმპერატორო ტეხნიკურ საზოგადოების მუდმივ კომისიას, მარიამის სახელობაზედ არსებულ დაწესებულებათ, სახაზინო რკინის გზების სახელოსნოებს: მე-106 კლ.:—ბარონ უნგერნ-შტეინბერგს და პ. მალიუტანის მანუფაქტურას; მე-108 კლ.:—ფინანსთა სამინისტროს, იაროსლავის სიფხიზლის კომიტეტს და ტვერის მანუფაქტურას; მე-110 კლ: ფინანსთა სამინისტროს, სასმელების გასყიდვის მონოპოლიის შემოღებისათვის; მე-111 კლ.:— ხალხის ჯან-მრთელობისათვის მზრუნველ საზოგადოებას, შავჭირთანმებრძოლკომისიას, პრინც პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგელს, სიუზორს, ტურნერს; მე-112 კლ. —რუსეთის წითელ ჯვარს, იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებებს, პეტერბურგის ბრმათათვის მზრუნველ საზოგადოებას, შრომის სახლების სამზრუნველოს და სამუშაო სახლებს; მე-113 კლ. ციმბირის რკინის გზის კომიტეტს, ამურის გენ. გუბერნატორს, აღმოსავლეთ ციმბირის საგენერალ გუბერნატოროს, ირკუტსკის გეოგრაფიულ საზოგადოებას, თურქესტანის საგენერალ-გუბერნატოროს; მე-116 კლასის სამხედრო სამინისტროს, პეტერბურგის საარტილერიო უწყებას, პეტერბურგის, ბრიანსკის და კიევის არსენალს, პეტერბურგის საზარბაზნო ქარხანას, ოფიცერთა მსროლელ სკოლას, იჟევის, სესტრორეცკის, პეტერბურგის და ტულის თოფ-იარაღის ქარხანას, ყაზანის თოფის წამლის ქარხანას, ურალის ქარხანას, საზღვაო სამინისტროს, კრონშტადტის ნავთ-სადგურის საარტილერიო სახელოსნოს, ობუხოვის ქარხანას, ენგელგარდს, არტილერიის უმთავრეს სამმართველოს, ნიკოლაევის საინჟინერო აკადემიას, უმთავრესს საინჟინერო სამმართველოს საფოტოგრაფიო განყოფილებას. პეტერბურგის და კავკასიის სიმაგრეების საინჟინერო სამმართველოებს (?), 1, 2, 3 და 5 საპიორთა ბრიგადებს. ნოვოგიორგიევის ციხის ჰაერში ფრენის განყოფილებას და თანამშრომელს კოვალკოს; მე-118-ე კლ.: საზღვაო სამინისტროს, ბალტიის გემების ამშენებელ ქარხანას, პეტერბურგის ნავთ-სადგურის მცურავთა სკოლას, პეტერბურგის ჰალვანოპლასტიურს სახელოსნოს, პეტერბურგის სანიმუშო სახელოსნოს, გიდროგრაფიულს სამმართველოს, პეტერბურგის საზღვაო მუზეუმს, სანავო სახელოსნოს, კრონშტადტის ორთქლის მანქანების სახელოსნოს; მე-119 კლ:— სამხედრო სამინისტროს, უმთავრეს შტაბის კარტოგრაფიულ ბიუროს, მისსავე ტეხნიკურ ბიუროს, გიდროგრაფიულ უმთავრეს სამმართველოს, მეტეოროლოგიურ და კარტოგრაფიულ განყოფილებებს: მე-120 კლ. სამხედრო სამინისტროს, საინტენდანტო ტეხნიკურ კომიტეტს, ყაზახთა ჯარების უმთავრესს სამართველოს, პეტერბურგის გალვანოპლასტიურ სახელოსნოს, პეტერბურგის ნავთ-სადგურის სასტალრო სახელოსნოს, საზღვაო კადეტთა კორპუსს; მე-121 კლ.: სამხედრო სამინისტროს, უმთავრეს საექიმო სამმართველოს, წითელი ჯვრის რუსეთის საზოგადოებას და ექიმს რემმერტს.

### სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

» როგორც იტყობინებიან, გერმანიამ, თავის რაზმის შანხაიში გაგზავნის შემდეგ, წინადადება მისცა იაპონიას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთს და რუსეთს, რათა ამათაც გაგზავნონ ჯარები შანხაიში. აქ ისეთივე მართვა-გამგეობა იქმნება შემოღებული, როგორც ტიანძინში, სადაც ყოველი ახალი ღონისძიება სამხედრო საბჭოში ირჩევა. ამითი ინგლისის დამოუკიდებელ პოლიტიკას ამ ადგილებში ბოლო მოეღება.

» როგორც ჩიფუდან იწერებიან, ჩინეთის მთავრობა ესლა დიდათ სცდილობს დაამშვიდოს «მოკრივეების» აჯანყება, მაგრამ სისუსტის გამო მიზანს ვერ აღწევს. მიუხედავად მთავრობის სასტიკი ბრძანებისა, «მოკრივენი» ხოცავენ მისსიონერებს, ანგრევენ ეკლესიებსა და სახლებს.

∝ მონღოლიაში სრული მშვიდობიანობაა და მონღოლებთან დამოკიდებულება საუკეთესოა.

∝ იმპერატორ ვილჰელმს, როცა შეუხვდავს გერმანელ ოფიცრებისათვის, რომელნიც ვალდერზეს გასაცილებლად შეკრებილიყვნენ, ღიმილით უთქვამს: «ყველა ამათ მალიან სურთ ჩინეთში წასვლა». გაზეთები კი ამტკიცებენ, რომ გერმანელებს სრულებით არ ეტყობათ ჩინეთის საქმეებით გატაცებაო. წინააღმდეგ ამისა, გერმანელებს მალიან ეშინიანთ, რომ ჩინეთში იწყება ხანგრძლივი და მეტად მძიმე ომი, რომელიც დიდ მსხვერპლს მოითხოვს და რომელშიაც ბოლოს მარტო გერმანია დარჩებაო. იმ ხმამ, რომ მთავრობა ჩინეთში 20,000 მდე ჯარს გზავნისო, ისეთი ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ყველა ოფიციალურმა და ოფიციოზურმა გაზეთებმა უარყვეს იგი. გრაფ ვალდერზესაც ესმის, როგორც სჩანს, რომ მას მძიმე საქმე მოელის. მას ხშირად რჩევა აქვს შტაბისათვის ამორჩეულ ოფიცრებთან და სამხედრო მინისტრთან.

∝ ერთის გაზეთის სიტყვით, ჩინეთში მყოფ ჯარების უფროსებსაც ჰქონდათ ლაპარაკი მთავარ-სარდლის დანიშვნის შესახებ, მაგრამ ვერ შეთანხმდნენო. აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ გრაფი ვალდერზე დიდ თანაგრძნობას ვერ შეხვდება შეერთებულ ჯარებისაგან. ეს სჩანს, სხვათა შორის, ინგლისელ გაზეთების წერილებიდან ვალდერზეს მთავარ-სარდლად დანიშვნის შესახებ: «იმედია, ვალდერზეს მისვლამდე ჩინეთში ყველაფერი გათავებული იქმნებაო». ამ გვარივე იმედები გამოსთქვეს ზოგიერთ საფრანგეთის გაზეთებმაც.

∝ გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ მეორემ მისალოცავი დეპეშა გაუგზავნა გენერალ-ლეიტენანტ ლენევიჩს. სხვათა შორის, იმპერატორი ატყობინებს რუსის გენერალს, რომ მან ბრძანება მისცა გერმანელ რაზმს ყველაფერში დაემორჩილონ მას.

∝ იაპონიის იმპერატორმა გამოუგზავნა ჩინეთში მყოფ იაპონელ ჯარის უფროსს ბრძანება, სადაც ნათქვამია, რადგანაც პეკინზე საერთო გალაშქრების დროს აუცილებლად საჭიროა შეერთებული ჯარების თანხმობა და ერთობა, იაპონელი ჯარი მოვალეა საუკეთესო დამოკიდებულება იქონიოს ყველა მოკავშირეთა ჯარებთან.

ლისუნ-ჩანგს მოსვლია იმპერატორის შემდეგი ბრძანება: «რადგანაც ზოგი გაუგებრობისა და ზოგი ჩინელ მოხელეების დაუდევრობის გამო ჩინეთსა და უცხოელ სახელმწიფოებს შორის ჩამოვარდა განხეთქილება, რომელსაც ეხლანდელი ომიანობა მოჰყვა, ჩვენ ვნიშნავთ ლისუნ-ჩანგს ჩვენ რწმუნებულად, რათა მან დაუყოვნებლივ დეპეშის საშუალებით მოლაპარაკება გამართოს უცხოელ სახელმწიფოების გარეშე საქმეთა მინისტრებთან ჯერ დროებით მორიგების შესახებ და შემდეგ საბოლოო მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ.

∝ შეერთებულ ჯარების მთავარსარდალი გრაფი ვალდერზე ჩავა ჩინეთში არა უადრეს 15 სექტემბრისა, რადგანაც აქ დაწვრილებით ირჩევა გერმანელ ჯარების ჩინეთში გაგზავნის საქმე.

∝ ოფიციოზურ გაზეთებს არ უჯერებენ, რომ გერმანიის მთავრობას ჩინეთში ახალი ჯარების გაგზავნის განზრახვა არ ჰქონდეს. როგორც ხმა დადის, გერმანიას გარდაუწყვეტია 42 ათასამდე აიყვანოს გერმანელი ჯარის რიცხვი შორს აღმოსავლეთში.

გრაფ ვალდერზეს მთავარ-სარდლად დანიშვნის გამო ბევრი წერილები იბეჭდება გერმანულ გაზეთებში. ბევრი მათგანი ამბობს, რომ გერმანელ გენერლის მთავარ-სარდლად დანიშვნა მთელი ევროპისაგან გერმანიის ჰეგემონიის აღიარებას ნიშნავსო. უფრო ფრთხილი პოლიტიკოსები კი სხვა თვალით უყურებენ ამ პოლიტიკურ ფაქტს. ერთი მათგანი აი რას ამბობს ამ საქმის შესახებ: «ჩვენ მალიან გვეშინიან, რომ გერმანიას მაზე მეტი არ შეატოპინონ, რასაც ჩვენი ინტერესები მოითხოვენ, და გზა არ შეუცვალონ გრაფ ბიულოვის ფრთხილ პოლიტიკას. იმედს ნუ დავკარგავთ, რომ ჩვენი აზრი შემცდარია. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ფეხს ვსდგამთ სრულებით ვრცელ დაუმუშავებელ ნიადაგზე, სადაც ბევრია დაფარული ქვები და თხრილები. მით უფრო უნდა ვერიდოთ გატაცებას, პირველი შთაბეჭდილების გავლენით მოქმედებას, მით უფრო უნდა ავწონ-დავწონოთ და ვანვსაჯოთ ყოველი ჩვენი ნაბიჯი; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ, შეიძლება, ზარალი ვნახოთ».

# ახალი ამბავი

—

✦ ტფილისის გამგეობას უკანასკნელ სხდომაზე ქალაქის თავის მოადგილემ თავ. ა. მ. არღუთინსკი დოლგორუკოვმა წარუდგინა ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც სჩანს, რომ ქალების სიფილისიურ საავადმყოფოს რემონტს სჭირდება 14,700 მან. გამგეობამ გადასწყვიტა მიენდოს ამშენებელ კომისსიას, შეადგინოს პროექტი და აღრიცხვა იმ ხარჯისა, რომელიც დასჭირდება ორი შენობის გაკეთებას ხსენებულ საავადმყოფოსთვის ავლაბარში, ქალაქის მიწაზე.

✦ სოფელ ახალქალაქიდან (გორის მაზრა) გვწერენ, რომ იქ ამ თვის 19 გაიმართება წარმოდგენა კნეინა ნინო გიორგის ასულის თარხან-მოურავის ასულის თაოსნობით იქ განზრახულ ქსენონის სასარგებლოდ.

✦ გზათა სამინისტროს საბოლოოდ გადაუწყვეტია, რათა ყველა ტეხნიკურ სკოლებში შემოღებულ იქმნას, როგორც სავალდებულო საგანი, საექიმო ელემენტარული ცნობების სწავლება.

✦ გზათა სამინისტროს კითხვა აღუძრავს ფინანსთა სამინისტროში, რათა გადათვალიერებულ იქმნას აგურის არსებული ტარიფები.

✦ ქალაქის საარჩევნო თანამდებობაზედ ამორჩეული პირების დამტკიცება, სენატის ახსნით, დამოკიდებულია ადგილობრივ გუბერნიის მთავრობისაგან, რომელმაც უნდა შეკრიბოს ამორჩეული პირის შესახებ დაწვრილებითი ცნობები.

✦ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია განიხილოს კითხვა შესახებ საქონლის მატარებლების მოძრაობის შემცირებისა კვირა-უქმე დღეებში.

✦ ქუთაისიდან იწერებიან, რომ იქ უკვე შეუდგენიათ ხარჯის გამწერი **საგუბერნიო კომისია**; სდგება აგრეთვე სამაზრო კომისიებიც. თავად-აზნაურობის წარმომადგენლებად დაინიშნენ: ქუთაისის მაზრიდგან—თ. გ. ვ. მიქელაძე, შორაპნის მაზრიდგან—თ. ბ. დ. წერეთელი, ოზურგეთის მაზრიდან—ბ-ნი გ. ტ. ჯაყელი, სენაკის მაზრიდან—თ. ო. ე. დადიანი, რაჭიდან—თ. ლ. დ. ჩიჩუა, ლეჩხუმიდან—თ. გელოვანი, სოხუმის ოლქიდან—თავ. ი. გ. შერვაშიძე, ბათუმიდგან—ეორონკოვი და ართვინიდგან — ნური-ბეგ-ხიმშიაშვილი.

✦ **ლოდკის გორის მოიჯარადრეთ** შუამდგომლობა აღუძრავთ ქალაქის გამგეობის წინაშე ხრამზე ხიდის გაკეთების შესახებ. გამგეობას თავის უკანასკნელ სხდომაზე დაუდგენია—გადასდოს ამ საქმისათვის 400 მანეთი.

✦ რადგანაც სახაზინო უწყებაზე 20,000 მანეთამდე წყლის მილის სარგებლობის ვალია და ქალაქის გამგეობას ვერ მოუხერხებია მისი აღება, უკანასკნელმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს დახმარება აღმოუჩინოს მას ამ საქმეში.

✦ სახალხო განათლების სამინისტროს ახსნით, სკოლებთან არსებულ მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებას და ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას, რომელნიც მოქმედებენ ნორმალურ წესდების მიხედვით, უფლება აქვთ შეიძინონ უძრავი ქონება.

✦ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი წერილი: „უმორჩილესად გთხოვთ მომცეთ ნება, რათა თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ბ.-ბთ ერმ. კობალაძეს, ნ. დოლიძეს, ი. თოთიბაძეს და ყველა იმ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმომიჩინეს სწავლის გასაგრძელებლად — სულ 107 მანეთით.

სტუდ. გრ. მახარაძე.

## მრეწველთა კრებაზე

(დამსწრეს შთაბეჭდილებანი)

პირველი სხდომა შავი ქვის მრეწველთა დაიწყო 26 ივლისს თეატრის დარბაზში. თავმჯდომარეობს კავკასიის სამთო სამართველოს უფროსის თანაშემწე სტატსკი სოვეტნიკი მ. ი. ჩენგერი, რომელსაც მარჯვენა მხარს უმშვენებს უგანათლებულესი თავადი პეტრე გრუზინსკი—წარმოგზავნილი მთავარმართებლისაგან და კიდევ სხვათა დაწესებულებათა მოთავენი... ლოჟები და ქანდარა დამშვენებულია მანდილოსანთა და წულთა სიმრავლით; ქვეით პარტერი აღვსილია ორის პარტიით: მარჯვნივ, სცენის პირდაპირ, დაბანაკებულია პარტია თანამგრძნობელი საბჭოს (სოვეტის) მოქმედებისა და მადლობელი მისის თავმჯდომარის გ. ფ. ზდანოვიჩისა; უმრავლესობისაგან შემდგარი ოპოზიცია, მრავალ დგმათა და დასთაგან შემდგარი, რომლის სახეზე აღბეჭდილია სისასტიკე, მუქარა, გრგვინვას მოსალოდნელია ჰექა-ქუხილი... რეცენზენტთა კრება ორივ კუთხეზეა დარბაზისა, სცენაზედაც დაბანაკებულია და ფაცა-ფუცით აუხაკუნებს კალამს ან კარანდაშს...

—

თავმჯდომარის ზარმა დაიწკრიალა; მან კრება კანონიერად სცნო და მოითხოვა კრებისაგან მდივნის ამორჩევა. საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ზდანოვიჩმა თავმჯდომარეს კრებისას აღუნიშნა ამ გვარ მდივნად დავით მდივანი, როგორც ამ მოვალეობის კარგად აღმასრულებელი და გამოცდილი. ოპოზიციის ლოტ-

ბარებმა გადაავლეს თვალი თვის მომხრეთ, რომელნიც მათთაგან ელოდნენ ნიშანსა და ბრძანებასა, და პროტესტი განაცხადეს; „არა გვსურს მდივანი მდივნად. ჩვენ გვყავს თვითონ მეთაურნი, ჩვენვე შეგვიძლია ახალი ძალა სამოქმედო ასპარეზზე გამოვიყვანოთ და დავნიშნოთ განათლებულნი ახალგაზდანიო, და თავის მხრით კრების თავმჯდომარეს ზარით და ზეიმით დაუსახელეს ბ-ნი პეტრე სურგულაძე.

არავის მაზე წინაამდეგი არა უთქვამს-რა, და პეტრე მდივნად აღირჩიეს. სამება პოზიციისა—სვიმონ, სამსონ და სევასტი—მხიარულობს, კმაყოფილებას სახვენ, ელიმებიან თვისთა მომხრეთ და არწმუნებენ: „ეს პირველი გამარჯვებაა ჩვენიო!“...

—

თავმჯდომარე უცხადებს კრებას, რომ ვიდრე აღნიშნულის პროგრამით რომელისამე გასარჩევს საგანს შევეხებოდეთო, საჭიროა მარწმუნებელ ქაღალდების განხილვა და აღნუსხვა უფლებით აღჭურვილ მრეწველთა; ითხოვა ასისტენტის დანიშვნა კრებისაგან, რომელიც დასწრებოდა და დახმარებოდა ამ შრომაში ..

ხმაურობაა... ქლრიამული. „ისო, ისო, არა ისო“ და სხვ. . ბოლოს ეს საპატიო ვალი ოპოზიციამ კისრად ადო თავის სამებას, სამს ლოტბარს: ბ-ნ სვ. ქვარიანს, სამ. ფირცხალავას და სევასტი გაჩეჩილაძეს.

კრება საღამოსთვის გადიდვა...

—

ამ დღიდან, ესე იგი 26 ივლისიდან, კრებამ შემდეგი კითხვები გარდასწყვიტა ოთხს აგვისტომდის: 1) განხილვა ანგარიშებისა, კრების რჩევისა, ვაგონთა დამნიშვნელის კომიტეტის და ფულის შემოსავალ-გასავლის შემამოწმებელ სარევიზიო კომისიისა; პირველმა **კრებამ განიხილა ეს ანგარიში და დაამტკიცა**; 2) ქუთაისის გუბერნიის გამგეობის მიერ ჭიათურის ქსენონის გადაცემა შავი ქვას მრეწველთა კრებისათვის და მადნის მუშათათვის მუდმივის საავადმყოფოს გამართვა. გადასწყდა: რომ **იშუამდგომლონ მთავრობასთან ქსენონი საბჭოს გადასცეს**; 3) შორაპნის შავი ქვის მადნებზე მეთვალყურე მთავრობის მიერ განწესებულ შტეიგერთათვის დანიშვნა დამატებითის ჯამაგირისა მადნებში სამსახურისათვის თვითეულის ხუთი წლიწადისთვის ასი მანეთა; გადასწყდა: **არ მოემატოს, სანამ არ შეიცვალოს მათი ინსტრუქცია.** 3) რა წესი და რიგი უნდა იქმნეს შემოღებული შავი-ქვას ხარისხ-ხარისხად დაყოფისა, რომ შავი-ქვის გასაღება რიგიანად სწარმოებდეს. დაადგინეს: **ჯერ უდროვოა ამას გარდაწყვეტა.** 4) ტეხნიკურის კომიტეტის დაწესება შავი ქვის მადნების დასაცველად—**უარ-ჰყვეს**; 5) ჭიათურის პოსადად გადაკეთება და მარტივის საზოგადოებრივის თვითმმართველობის შემოღება ჭიათურაში.—დაადგინეს: **გიშუამდგომლოთ, რომ პოსადად გადაკეთოთ.** 6) მომრიგებელ სასამართლოს დაწესება ჭიათურაში.—**დააწესეს.** 7) სტატისტიკური ცნობები შავი ქვის მადნის ამოღებისა და გადაზიდვის შესახებ დაადგინეს **დაარსონ სტატისტიკური ბიურო.** 8) შტეიგერთა ინსტიტუტის რეორგანიზაციის შესახებ **დაადგინეს იშუამდგომლონ.** 9) სამრეწველო პოლიციის რეორგანიზაციის შესახებ **ითხოვეს განთავისუფლება სამრეწველო ბოქაულისა საზოგადო საპოლიციო საქმეებიდან.** 10) საპენსიო კასისა, ანუ მუშათა საზოგადოების დაწესება და საერთოდ შავი-ქვის მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ზომათა მიღება. ეს კითხვა გადაწყდა საბჭოს თავმჯდომარის გ. ფ. ზდანოვიჩის მიერ წარმოდგენილ პროექტის თანახმად—**შემოიღონ მუშათა დაზღვევა.** 11) სამთო სკოლებში სტიპენდიების დანიშვნა პირველის კრების დადგენილების თანახმად დაამტკიცეს. 12) $^3/_4$ გარდასახადის შემოღება $^1/_2$-ის მაგიერ და გარდასახადის გავრცელება იმ ქვაზედაც, რომელსაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებიდან ეზიდებიან, ხოლო რომელიც ამ სადგურებზე მოაქვთ ჭიათურის რკინის გზით კი არა, არამედ ურმებითა და ცხენებით მიღებულ იქმნა. 13) შავი ქვის გაზიდვას ხომ არ აბრკოლებს რამე—ან რკინის გზის მხრივ, ანდა ფოთის ნავთსადგურის მხრივ?—**ამოირჩიეს კომისია ამის განსახილველად.**

(შემდეგი იქნება)

# საღამოს დეპეშები

7 აგვისტო

**როსტოვი-დონზე.** 5 აგვისტოს გაჩენილმა ცეცხლმა დასწვა ორი ქარხანა, სამი ნავთის საწყობი, ორი პურის ბეღელი, რკინის გზის ხიდი და ათამდე სხვა-და-სხვა შენობა; მდინარეზე დაიწვა სამი გემი კეროსინით და ორი ცარიელი გემი; ზარალი რამდენიმე მილიონია. მიზეზი ცეცხლთან გაუფრთხილებლობაა.

**ვილჰელმსჰეე.** კასელის სასახლეში იმპერატორმა მიიღო ფელდმარშალი ვალდერზე და წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა შემდეგი: „თქვენი დანიშვნა საბოლოოდ დამოკიდებული იყო სრულიად რუსეთის იმპერატორისაგან, ძლევა-მოსილის ხელმწიფისაგან, რომლის ძალას ჰგრძნობენ აზიის შორეულს ქვეყნებშიაც. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მჭიდრო კავშირი არსებობს ორი იმპერიის შორის. ჩემის ერის სასარგებლოდ მე მსურს, რომ ჩვენი საერთო ექსპედიცია შეიქმნეს გარანტიად ევროპიელთა შორის მშვიდობიანობის დამყარებისა, რაც შარშან სცადა რუსეთის ხელმწიფემ სხვა ასპარეზზე“.

**ლორენცო-მარკეზე.** იტყობინებიან, რომ დევეტმა ტყვედ წაიყვანა 4000 ინგლისელი და წაართვა მათ შვიდი ზარბაზანი. რობერტსმა დასტოვა მიდელსბურგი.

**პრეტორია.** დევეტი გუშინ გამოჩნდა კომანდოპეკის ჩრდილოეთით; კომანდოპეკი უჭირავს ბადენპაუელს; დევეტმა მოსთხოვა მას, დამნებდიო; ბადენპაუელმა ჰკითხა, რა პირობებით მთხოვთ იარაღის დაყრასო.

**ლონდონი.** საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა ადმირალი ბრიუსისა, ჩიფუდან 6 აგვისტოს გამოგზავნილი: „იაპონიის წყაროებიდან გავიგე, რომ პეკინის ერთი ნაწილი ცეცხლშია; ქუჩებზე ბრძოლა სწარმოებს. იუნგლუმ არ მისცა დედოფალს ნება დაეტოვებინა პეკინი. შეერთებული ჯარები გარს შემოერტყნენ პეკინის იმ ნაწილს, სადაც ჩინელები გამაგრდნენ უკანასკნელად წინააღმდეგობის გასაწევად“.

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . | 1 გ. | $8^1/_2$ კ. | |
| სუკი | . . . . . | » | — 15 კ. | |
| » ცხვრისა | . . . | » | — $8^1/_2$ კ. | |
| » ღორისა | . . . | 1 | — 8 კ. | |
| » კამეჩისა | » » | » | — 8 კ. | |
| » ღორის ზარგალი სალორეთი | . | 1 | » —10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ჯვარი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | » | 6 | « |
| » » | II | » | » | » | 4 | « |

—

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდანზე: ვოკზალზე,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საფ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | 1 1—5— | | |
| სიმინდი . . . . | 1 | — 80 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 20 | — | — |
| » უფქრი მდარე. | 1 | 1 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 30 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 65 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — 10 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — 25 | — | — |
| ბზე. . . . . . | 1 | — 23 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკებ-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მუსაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

—

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | ხარისხი. |
|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 79 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 “

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10%. მაუ-ნარევი — ადგილობრივი — 3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.


# განცხადებანი

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გიორგიევის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ისტორია, გეოგრაფია

და მოგზაურობა

ალხაზიშვილი ილ. ბუნება და ცხოვრება. 60 კ.
ალნიაშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.
გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი 10 კ.
— თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.
ვახუშტი ბატონიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.
— იგ. II წ. ქართლი 25 კ.
ვოდოვოზოვი ე. ინგლისელები. 40 კ.
— იტალიელები. 30 კ.
— გერმანელები. 30 კ.
თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.
იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.

კუდრიავსკი დ. როგორ ცხოვრობდენ ადამიანები მველად. 25 კ.
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა. 3 მ.
— იგივე წიგნი II. 3 მ.
ურბნელი ნ მეგლის დება მეფე გიორგი ბ. რწყინვალისა. 25 კ.
— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.
— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.
— იგ. „ მესამე. 40 კ.
ჭიჭინაძე ზ. მეფე ერეკლეს და აღამამადხანის ომი. 10 კ.
— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.
ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.
— გუჯრები. 50 კ.

—

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, ყდით. 25 კ.
ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

—

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.
სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

—

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.
ჯაჯანაშვილი რ. კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ბ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.
გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე. 10 კ.
გოგებაშვილი ი. მოსავლის მტელნი, სურათებით. 20 კ.
დედამიწის მოყვანილობა—10 კ.
ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.
იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.
ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.
ლენტის მიკასის ჭიები 5 კ.
კომბი. ბავშვების მოვლა 40 კ.
მირიანაშვილი ალ. ჭვავი და მისი მნიშვნელობა. 15 კ.
მოწავის ჭიგიენა 3 კ.
მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.
რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.
როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.
როგორ საზრდობს მცენარე, გადმოკეთებული. 25 კ.
სპერანსკი. ცუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.
ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

—

დარეჯანაშვილი არ. საზოსტნე მცენარეების მოყვანა. 20 კ.
ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ალნიაშვილი ვლ. «ბანი», ხალხური ლექსები. 10 კ.
— «განი», წვრილი ამბები. 10 კ.
— «დონი», წვრილი ამბები. 10 კ.
— «ვინი», პაწაწა მინერალოგია 15 კ.
— «ზენი», პაწაწა ბოტანიკა. 20
— «თანი», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.

გოგებაშვილი ი. დედა-ენა ყდ. 40 კ.
— ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, ყდით. 80 კ.
— ხომლი, ლექსითა კრება 30 კ.
— Русское слово ნაწ. 1 ყდ. 40 კ.
— Русское слово ნაწ. II ყდ. 50 კ.
გაბიჩვაძე ვ. დედანი. 20 კ.
მდივანოვი ს. თვით მასწავლებელი ქართულისა და რუსულის ენისა. 50 კ.
ნასიძემ. Учебникъ грузинскаго языка для русскихъ. 50 კ.
ქუთათელაძე არ. წყარო 40 კ.
ჯაჯანაშვილი რ. მეგობარი 35 კ.

საყმაწვილო წიგნები:

ავენარიუსი. ბანჯგვლიანი ფუტკრის ამბავი. 15 კ.
ასათიანი თ. საყმაწვილო ამბები. 10 კ.
ანდერსენი. ზღაპრები 1 წიგნი. 10 კ.
— გედები 10 კ.
ბარნოვი. საკვირველი ხე 3 კ.
გაბაშვილი ეკ. საყმაწვილო მოთხრობები. 30 კ.
გოგებაშვილი ი. ხატის მიზეზი. 5 კ.
თუმანიშვილი ან. ხატური, მოთხრობა სურათებით. 10 კ.
ტატიშვილი გრ. ხუმარა სპილოები, სურათებით. 10 კ.
აკაკი. საყმაწვილო ამბები. 40 კ.
ციხე. თარგ. 5 კ.
ნხუბი ერთი კვერცხისათვის. 3 კ.

—

სვანური ზღაპრები. 30 კ.

კრიტიკა, ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია:

თ. ი. ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა. 20 კ.
მკითხველის შენიშვნები. ჩატეხილი ხიდი «ოთარაანთ» ქვრივის ი. ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ. 15 კ.
ნაზოლორა ფ. «ივერია» და «მეველე». საპერმნეთის ბრძენი დიოგენი 10 კ.
სტეფენსონი—რკინის გზის გამომგონელი. 5 კ.
სახსოვრად ქართულ თეატრის 50 წ. არსებობის დღესასწაულისა. 20 კ.
ქართველი მკითხველი. საუცხოვო ნიმუშები ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული ნაწარმოებისა. 15 კ.
ჭიჭინაძე ზ. ქართული მწერლობა მე XII საუკუნეში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე XIII-ე XVI საუკუნოებში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე XII საუკუნეში. 20 კ.
— შოთა რუსთაველი. 30 კ.
— პატრი ნიკოლა როგორც ქემი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში. 20 კ.
— აკაკი წერეთელი. 15 კ.
— ილ. ჭავჭავაძე. 20 კ.
— გ ორბელიანი. 20 კ.
— ტულუზაანთ დავითა და უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღ. 25 კ.
ყიფიანი ნ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება 50 კ.

პუბლიცისტიკა:

გოგებაშვილი ი. მირითადი უკუღმართობა. 20 კ.

ისარლოვი ლ. კათოლიკენი საქართველოში. 15 კ.
იზაშვილი პ. ქართველი კათოლიკენი. 10 კ.
კარლ-კაუტსკი. ჩვენი დროის ეროვნება. 10 კ.
მამაცაშვილი ქრ. დრო არის საქმეს შეუდგეთ. 20 კ.
ჩვენ ქალებს. ქ-ნ შტარის წერილები. 20 კ.

კაზმული სიტყვიერება:

აბაშიძე ვ. ტასიკო, დრამატიული ეტიუდი. 10 კ.
ბარათაშვილი ნ. ლექსები 40 კ.
ბურჟე პოლ. ცოდვა სიყვარულისა. 70 კ.
გაბაშვილი ეკატ. სურათები გლეხელ-კაცის ცხოვრებიდან 10 კ.
გუნია ვ. მარინე. ისტ. მოთხრობა გადმოკ. 30 კ.
გურიელი მამია. თხზულებანი (ლექსები და პოემები). 1 მ.
გელოვანი ქ. ლექსები. 15 კ.
გულისაშვილი ი. ორი პიესა. 50 კ.
გეტე. რეინეკე კუდა-მელა, სურათებით. 50 კ.
გვარამაძე მღ. ივ. წამება მიხეილ გობრონისა, ლექსად. 10 კ.
დილარიანი. 25 კ.
დუტუ მეგრელი. ცრემლები 25 კ.
დე-ამიჩი. დედა-შვილის თავ-გადასავალი 15 კ.
ეჟი. განთიადი. 1 მ.
ერვიე პოლ. ბრჭყალები, დრამა. 30 კ.
ერისთავი გ. თხზულებანი, სურათით 1 მ. 60 კ.
ევდოშვილი ი. ლექსები და პოემები. 25 კ.
ერკმან-შატრიანი. გლეხი კაცის ისტორია I ნაწ. 60 კ., II ნაწ. 60 კ., III და IV 1 მ. 20 კ. კარგ ქაღალდზე თითო ნაწ. 15 კ. ემატება.
ველისციხელი. ნ. საგულისხმიერო აზრები შილლერიდან. 5 კ.
— საგულისხმიერო აზრები კეფხის-ტყაოსნიდან. 10 კ.
იანქოშვილი მ. ციცინათელა. 25 კ.
ივანე ბატონიშვილი. კალმასობა. 1 მ.
იკოთელი ილ. სამნი ბრძენნი. 20 კ.
იოსელიანი გ. ვეფხის-ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყმაწვილებისათვის, სურათებით. 20 კ.
კარიჭაშვილი დ. სამი მსხვერპლი, მოთხრობა. 30 კ.
კეთილი მადლი. 10 კ.
ლერმონტოვი მ მწირი, პოემა 10 კ.
— ორშა, პოემა. 10 კ.
— დემონი. 10 კ.
მაჩხანელი დ. მძური სიტყვა. 25 კ.
ნინოშვილი ე. პარტახი. 20 კ.
ნადირაძე ილ. ზაქარია კეთილაძე. 10 კ.
ნიკიტინი ალ. კრებული მოთხრობებისა. 15 კ.
ორბელიანი ვ. ლექსები. 60 კ.
პატაპენკო ი. ნამდვილი სამსახური, მოთხრობა. 40 კ.
ჟანა დარკი. მოთხრობა. 5 კ.
რამას განდეგნა, პოემიდან «რამიანი», გერმანულიდან 40 კ.
რუბაკინი. ორი ეტიუდი, «ქალაქის მამიებელნი» და «პირის-პირ». 20 კ.

სოლომონ მსაჯული. გლოვა ირაკლი მეორისა. 5 კ.
ტოლსტოი ლ. სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს 5.
ფურცელაძე ან. ლექსები და პოემები. 40.
— მარაბდა, პოემა. 20 კ.
— წყალობა, პოემა. 20 კ.
— მაცი ხვიტია, რომანი. 40 კ.
— ავაზაკნი. 30 კ.
— სამი პოემა. 40 კ.
— შოთა და მისი ცოლი 10 კ.
ქართველ ქალთა ნათარგმნი მოთხრობები I წ. 40.
ქალები, თ. სახოკიასი. 20 კ.
ყაზბეგი იური. სამშობლოსათვის თავდადება. 5 კ.
შექსპირი. ოტელო. 50 კ.
— მაკბეტი. 40 კ.
— რიჩარდ მესამე. 40 კ.
— იულიოს კეისარი. 30 კ.
შილლერი. ვილჰელმ ტელი. 15 კ.
ცახელი. ზარნაშო, პოემა. 15 კ.
— გურგენ რაინდი, პოემა 30 კ.
ცშოკე. ოქროს მოყვარულები. 15 კ.
აკაკი. სამ-გვარი სიყვარული. 30 კ.
— ანდრია პირველი წოდებული პოემა. 5 კ.
— თორნიკე ერისთავი პოემა. 1 მ.
წერეთელი გ. ლომ-კაცი პოემა. 60 კ.
წითლიძე ა. მმა მმის მტერი. 10 კ.
წულაძე ლ. ზანგის სამკვიდრო. 10 კ.
ჭონქაძე დ. სურამის ციხე 25 კ.
ჭიჭინაძე ზ. ჭონის შეგირდი. 7 კ.
ხონელი მ. ამირან-დარეჯანიანი. 1 მ.
ჯიაკომეტი. ივდითი, ტრაგედია 30 კ.

—

ქორიძე ფ. სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის. 60 კ.
რატილი ი. ალილო, შიგნით კახეთის კილო ნოტებზე გადაღებული. 50 კ.

—

კეფიმერტე. ქართულად თარგ. 1 მ.
მირაქოვი. ნაპერწკალი, ნაწყვეტები და მოსწრებული სიტყვები. 20 კ.
დადიანი ნ. საამდროვო გამოცანები 15 კ.
ტარუაშვილი გოტიგური ანბანი 5 კ.

სურათები

თოიძე მ. ერისთავი რაფიელ. 20 კ.
— იგივე. კარგს ქაღალდზე 30 კ.
— ნინოშვილი ეგნატე. 15 კ.
— იგივე. კარგ. ქაღალდზე. 25 კ.
— რუსთაველი შოთა. 20 კ.
— ჭავჭავაძე ილია. 25 კ.
— მეფე ერეკლე. 20 კ.
— იგ. კარგ ქაღალდზე 25 კ.

პროვინციაში მცხოვრებთ წიგნები ფას დადებით შეუძლიანთ გაიწერონ, მხოლოდ წიგნების ფასის 25% (პროცენტი) წინათვე უნდა გამოგზავნონ.

წიგნების დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Августа 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.